ბრძანება:**№28. 28223554**
თარიღი:**21/12/2022**

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 ოქტომბრის №28. 2822297001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების მე-4 დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად და მერიის საფინანსო სახაზინო განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მარინა გაბეხაძის 2022 წლის 16 დეკემბრის 05-282235098 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 ოქტომბრის №28. 2822297001 ბრძანების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და პროგრამული კოდების მიხედვით პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების განმახორციელებელი სამსახურები/ააიპ/სსიპ -ები დანართი 1 - ის შესაბამისად;

მუხლი 2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ავთანდილ ურიადმყოფელს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებები მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოვალეობის შემსრულებელი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი